6599

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
3 აგვისტო
1941 წ.
№ 182 (6187)
ფასი 15 კაპ.

თავდაცვის სახალხო ფონდი

კომუნისტები და კომკავშირელები წითელი არმიის პოლიტმეომრები არიან

ექვსი კვირაა გრძელდება წითელი არმიის შეუპოვარი ბრძოლები გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. მტრის გამხეცებული ურდოები ჩვენი საყვარელი სამშობლოს ფარგლებში შემოიჭრნენ. ვერაგი მტერი, მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ დიდი ზარალი მოსდის, ცდილობს გააფართოოს დაკავებული ტერიტორია. იგი ყოველნაირად ცდილობს მოაღწიოს საბჭოთა კავშირის სასიცოცხლო ცენტრებს.

ექვსი კვირაა რაც წითელი არმიის ნაწილები ებრძვიან ფაშისტ ქოფაკებს, იცავენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას, დამბლას სცემენ გერმანიის შემოტევითს ტაქტიკას და ანადგურებენ ჰიტლერის სტრატეგიულ გეგმებს. ფაშისტებმა ვერ შესძლეს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მობილიზაციის ჩაშლა. მათ ვერ მოახერხეს საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის დარღვევა. ჩაიშალა „ელვისებური დარტყმა" კიევზე, ლენინგრადზე, მოსკოვზე, რომლებზედაც ფაშისტთა მისვეურები მთელ თავიანთ ანგარიშებს ამყარებდნენ, იგი ჩაშალა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეუპოვარმა წინააღმდეგობამ.

ფაშისტ ყაჩაღთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომს დღითიდღე სულ უფრო და უფრო ფართო გაქანება ეძლევა. მოძრაობაში მოდის საბჭოთა სახელმწიფოს ყველა სამხედრო ბერკეტი. იზრდებიან თავაშვებული მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალები. ცალკეული თავდაცვითი იერიშებიდან წითელი არმია გადადის თანამიმდევრულ კონტრიერიშებზე, რომლებიც უკუაქცევენ გათავხედებულ მტერს. წითელი არმია იწყებს ფაშისტთა განდევნას მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან და მთელ რიგ ადგილებში აიძულებს მათ ხელი აიღონ შემოტევაზე, გადავიდნენ თავდაცვაზე, ხოლო ზოგიერთ უბანზე—უკან დაიხიონ კიდეც დიდი ზარალით.

მტრის უპირატესობა, რაც დიდი ძალების კონცენტრაციისა და მუხანათური თავდასხმის მოულოდნელობაში მდგომარეობდა, დასასრულს უახლოვდება. წითელი არმია, რომელმაც მტრის ტაქტიკა, მისი შეიარაღებული ბრძოლის, პროვოკაციებისა და დივერსიების მეთოდები და საშუალებანი შეისწავლა, თავისი იერიშების მზარდი ძალით აქარწყლებს მტრის უპირატესობას, რაც მან ომის პირველ დღეებში მოიპოვა, ჰქანცავს და სპობს მის ძალებს.

სამშობლოსათვის ბრძოლებში საბჭოთა მეომრებმა გვიჩვენეს ვაჟკაცობისა და გამბედაობის, სიმამაცისა და გმირობის, მაღალი ბრძოლისუნარიანობისა და სამხედრო ცოდნის უკვდავი ნიმუშები. და ჩვენი უშიშარი გმირების პირველ რიგებში არიან წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კომუნისტები და კომკავშირელები.

ლენინ-სტალინის პარტია სათავეში უდგას საბჭოთა ხალხის სამამულო ომს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. დიდი სტალინი სათავეში უდგას პარტიას, საბჭოთა მთავრობას და სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს. ლენინისა და სტალინის სახელით გაიმარჯვა წითელმა არმიამ სამოქალაქო ომში. თავისი დარაზმულობითა და დისციპლინით ერთიანმა, ძლიერმა თავისი რევოლუციური სულისკვეთებითა და მზადყოფნით ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს ჩვენი დიადი საქმის წარმატებისათვის. მილიონიანი მასების ბელადის ოსტატობით უბადლო ბოლშევიკურმა პარტიამ უზრუნველყო გამარჯვება ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე. ახლა ჩვენი პარტია კვლავ სამამულო ომის მოწინავე პოზიციებზეა. პარტიის თვითეული წევრი, ლენინურ-სტალინური კომკავშირის თვითეული წევრი მოწინავე მეომარია ფრონტზე.

თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა სტალინმა ფრონტზე მყოფ კომუნისტებსა და კომკავშირელებს პოლიტმეომრები უწოდა. პოლიტმეომარი სიმამაცისა და გაბედულების პირად მაგალითს იძლევა ფაშისტებთან ბრძოლებში. პოლიტმეომარი წინ მიუძღვის უპარტიოებს. კომუნისტები და კომკავშირელები წესრიგისა და დისციპლინის პირველი მატარებელნი არიან. ისინი ბრძოლაში სიმტკიცის, სიდინჯის, გამბედაობისა და ინიციატივის ნიმუშს წარმოადგენენ. პოლიტმეომრები მეთაურის, კომისრისა და პოლიტხელის პირველი თანაშემწეები არიან. სტალინური პოლიტმეომარი ცემენტია, რომელიც წითელი არმიის მეომრებს ერთიანი ნებისყოფით, მტერზე გამარჯვების ერთიანი მისწრაფებით ადუღაბებს.

კომუნისტი, კომკავშირელი ყველგან და ყოველთვის პირველ რიგებშია, იგი არ ერიდება სიკვდილს, იგი გამოჩნდება ხოლმე ყველგან, სადაც ყველაზე მეტი საშიშროებაა, ყველგან, სადაც საჭიროა რკინისებური, შეუდრეკელი ნებისყოფა და ფოლადისებური ხასიათი. პოლიტმეომარს პირადი სიმამაცის, პირადი გმირობის გამოჩენასთან ერთად მოეთხოვება იმის უნარი და ნიჭი, რომ აღაფრთოვანოს თავისი ამხანაგები, ჩაუნერგოს მათ რწმენა და მხნეობა, რაც მათს საბრძოლო სულისკვეთებას აწრთობს.

კომუნისტს — ტანკის მეთაურს ლედნევს არაერთხელ გაუნადგურებია ფაშისტები. საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს იგი გამანადგურებელ ლახვრად შეიჭრა მტრის განლაგების ცენტრში და შეუბრალებლად სპობდა მტრის ცეცხლის წერტებს. მას მიჰყვნენ კომუნისტ გორდიენკოს და კომკავშირელ ზალევსკის ტანკები. მრისხანე მანქანები მუხლუხებით სრესდნენ ფაშისტებს, პირდაპირი დაშენით სპობდნენ მათ. მტერი შედრკა და აირდაირია.

სამამულო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შტურმანი ტიმოთე ბოლოტოვი მიღებულ იქნა პარტიის კანდიდატად. თავის განცხადებაში იგი სწერდა: „მთელს ჩემს ძალღონეს და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც კი შევწირავ ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს". და აი ბოლოტოვი ფრონტზეა. პირველია მისი საბრძოლო გაფრენა. მას დავალებული აქვს გაანადგუროს სატანკო კოლონა. შტურმანის ყურადღება უკიდურესობამდე დაძაბულია. ნაჩვენებ ადგილას მტერი არა ჩანს, იგი ტყეში იმალება. საჭიროა მისი პოვნა. ვერც საზენიტო არტილერიის ცეცხლმა, ვერც ფაშისტთა ავიაგამანადგურებლების იერიშებმა ვერ შეუშალეს ხელი საბჭოთა მფრინავებს საბრძოლო დავალების შესრულებაში. ყუმბარები მიზანს დააყარეს. ტყეში ალი ავარდა, შავი კვამლი ბოლქვებად ადიმართა. მტრის სატანკო კოლონა განადგურებულ იქნა. ასე შეასრულა პოლიტმეომარმა ბოლოტოვმა პარტიისათვის მიცემული სიტყვა!

სიმამაცის, ბრძოლაში გამბედაობის მაგალითს წარმოადგენს კომკავშირელი წითელარმიელის შელოპაევის საქციელი. მისი ბატარია ინტენსიურად უშენდა მტერს. ამ დროს მტერი ზურგში შემოიპარა და ბატარიას სროლა აუტეხა. პოლიტმეომარმა კომკავშირელმა ტყვიამფრქვევი აიღო და მეომართა ჯგუფთან ერთად მტერზე გაილაშქრა. ტყეში მათ აღმოაჩინეს ფაშისტი მოტოციკლისტები, რომლებიც ავტომატურ იარაღს ისროდნენ. მეომართა მამაცი ჯგუფი მტერს მიეპარა, ეკვეთა და მოსპო იგი.

გმირული საქმეების ურიცხვი მაგალითებით აღსავსეა წითელი არმიის ცხოვრება ფრონტზე. საბრძოლო საქმეები კომუნისტი და კომკავშირელი მეთაურებისა, კომისრებისა და რიგითი მეომრებისა, რომლებიც წითელი არმიის მასებს მიუძღვიან, ახალი დიდებით მოსავენ საბჭოთა ჯარების დროშებს.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფრონტზე პოლიტმეომართა როლს და მოითხოვს: „**პოლიტმეომრებისა და არაპარტიული ბოლშევიკებისაგან შევქმნათ მებრძოლი აქტივი და დავეყრდნოთ მას ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში, მათი საბრძოლო გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებაში, მთელი პირადი შემადგენლობის ამოძრავებაში მტრის განადგურებისათვის გაცემული ბრძანების შესასრულებლად**". ამხანაგი სტალინი ავალებს კომისრებსა და პოლიტმუშაკებს „**სწორად გაანაწილონ პოლიტმეომარი კომუნისტები და კომკავშირელები იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნან გადამწყვეტი უბნები**".

კომუნისტები და კომკავშირელები — შეიარაღებული ბრძოლის გადამწყვეტ უბნებზე!

კომუნისტები და კომკავშირელები—დიდი სამამულო ომის მეომართა მეწინავე რიგებში!

კომუნისტებო და კომკავშირელებო! ღირსეულად ატარეთ პოლიტმეომართა საპატიო სტალინური სახელწოდება.

„პრავდის" მოწინავე, 2/VIII.

ყველაფერი სამშობლოს თავდაცვისათვის

მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივში საბჭოთა კავშირის მოწინავე პატრიოტების ინიციატივამ — შეიქმნას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდი.

გუშინ, დღის 5 საათზე, დილის ცვლის მრავალრიცხოვანმა მუშაკებმა თავი მოიყარეს მიტინგზე სატენდერო საამქროში, სადაც სიტყვით თავდაცვის ფონდის მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. თ. სტურუა.

მიტინგი გადაიქცა საბჭოთა პატრიოტიზმის დემონსტრაციად. ამაღელვებელი პატრიოტული სიტყვებით გამოსული მოწინავე მუშები: ორდენოსანი მექვაბე ამხ. მ. გეწაძე, ორდენოსანი მჭედელი ქ. ილურიძე, სტახანოველი ი. მაჩაიძე, მექვაბე შ. ზუბიევი, ზეინკალი ს. ბაბაევი და ინჟ. გ. ჩლაიძე გამოსთქვამდნენ ქარხნის მთელი კოლექტივის ერთსულოვან აზრს, რომ ისინი არაფერს დაიშურებენ საყვარელი სამშობლოს თავდაცვის გაძლიერებისათვის, პირსისხლიანი ფაშიზმის, ბანდიტ ჰიტლერის გასანადგურებლად.

ორატორებმა თავის მხრივ და თავიანთი ბრიგადების სახელით განაცხადეს, რომ მათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე შეაქვთ 1-4 დღის ხელფასი.

ამასთან მიტინგს გააცნეს, რომ მთავრობამ დააკმაყოფილა მოწინავე რკინიგზელების თხოვნა, რათა „რკინიგზელის დღის" აღსანიშნავად იმუშაონ 3 აგვისტოს და ამ დღეს გამომუშავებული მთელი ხელფასი გადარიცხონ თავდაცვის ფონდში.

თავდაცვის სახალხო ფონდში

ლიტერატურული საღამოები. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა გამართოს თბილისსა და სარაიონო ცენტრებში ლიტერატურული საღამოები, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა თავდაცვის ფონდს.

— **მარჯანიშვილის თეატრის** კოლექტივმა დაადგინა ყოველ თვეში ორ გამოსასვლელ დღეს ითამაშოს სპექტაკლები, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა თავდაცვის ფონდს.

გუშინ თბილისის საწარმოო-დაწესებულებებსა და საქართველოს მრავალ კოლმეურნეობაში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნისადმი.

მიტინგების მონაწილენი, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები გულმხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოვის მშრომელთა ისტორიულ ინიციატივას, რომ შეიქმნას გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ „ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდი".

მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ რა წინადადებას თავდაცვის ფონდის შექმნის შესახებ, აღნიშნავენ, რომ თავდაცვის ფონდში შეიტანენ 1-2 დღის ხელფასს ყოველთვიურად და აგრეთვე თავიანთ დანაზოგებს ერთდროულად, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს ვერაგი და მუხანათი მტრის — ჰიტლერის ბანდიტური ხროვის მოსპობას.

კოლმეურნე პატრიოტები

თბილისის რაიონის კოლმეურნეებმა და მუშა-მოსამსახურეებმა აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი მოსკოვის მშრომელთა თაოსნობას „ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდის" შექმნის საქმეში.

ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე, რომელსაც 500-მდე კაცი დაესწრო, კოლმეურნე ქალმა მარო ბუტიკაშვილმა თავდაცვის ფონდში ერთდროულად შეიტანა 200 მანეთი და განაცხადა, რომ ომის დამთავრებამდე ყოველთვიურად შეიტანს ფონდში ორ-ორი შრომადღის ღირებულებას. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. ვარდანაშვილმა თავდაცვის ფონდში შეიტანა 500 მანეთი და განაცხადა, რომ ყოველთვიურად გაიღებს ხუთი შრომადღის ღირებულებას.

თვითეული კოლმეურნე თავდაცვის ფონდის შესაქმნელად ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე ორ-ორი შრომადღის ღირებულებას შეიტანს თავდაცვის ფონდში. მიტინგმა გამგეობას დაავალა პირველი შესატანი, რაც 20 ათას მანეთამდე აღწევს, გადარიცხოს არა უგვიანეს 4 აგვისტოსი.

ასეთივე მიტინგები შესდგა წყნეთის, გლდანის, დიღმის, სოღანლუღის და სხვა სასოფლო საბჭოებში. წყნეთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ფატი ქვატაიშვილმა თავდაცვის ფონდში შეიტანა 100 გრამი ვერცხლი და 150 მანეთის ობლიგაციები, გრ. ასიტოვმა—500 გრამი ვერცხლი და 100 მანეთი ფულად. წყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მიტინგის დამთავრებისთანავე კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 2.850 მანეთის ობლიგაციები, სხვადასხვა ძვირფასი ნივთები და ფული. დიღმელმა კოლმეურნეებმა მიტინგის დამთავრებისთანავე შეიტანეს 1.950 მანეთი, აგრეთვე ოქროს და ვერცხლის ნივთები, 8.350 მანეთის ობლიგაციები და სხვ.

ჯილდოდ მიღებული 5 ათასი მანეთი თავდაცვის ფონდში

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებლობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა 2 აგვისტოს სახელდახელო მიტინგზე ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან არა მარტო შრომით, არამედ პირადი სახსრებითაც მონაწილეობა მიიღონ ვერაგი მტრის — ფაშიზმის განადგურებაში, თავდაცვის ფონდში სათანადო წვლილის შეტანით უზრუნველყონ ახალი ზარბაზნების, ტანკების, თვითმფრინავების, ტყვიამფრქვევებისა და შურვების გამოშვება.

მიტინგზე ქარხნის მთელმა რიგმა მუშაკებმა, მათ შორის ამხ. ნ. ორჯონიკიძემ (დირექტორი), შ. შალამბერიძემ, მ. ზამკოვოიმ და სხვებმა იკისრეს ყოველთვიურად თავდაცვის ფონდში 2 დღის ხელფასის შეტანა, მთლიანად კოლექტივმა კი — თითო დღის ხელფასის შეტანა. გარდა ამისა, ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილებამ თავდაცვის ფონდში ერთდროულად შეიტანა ჯილდოდ მიღებული 5.000 მანეთი.

შეტანილია 411.193 მანეთი (თბილისი)

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ცნობით თბილისის მშრომელებმა 3 აგვისტოსათვის თავდაცვის ფონდში შეიტანეს სულ 411.193 მანეთი. აქედან 196.733 მანეთი ნაღდ ფულად, 16.655 გადარიცხვის წესით და 197.805 მანეთი ობლიგაციების სახით.

ფულადი შეწირულებების გარდა ამავე რიცხვისათვის თავდაცვის ფონდში შეტანილი იყო 8 გრამი ოქრო და 375 გრამი ვერცხლი.

თავდაცვის ფონდში დანაზოგების შეტანა წარმატებით გრძელდება.

საბჭოთა მწერლების ერთსულოვანი ხმა

გუშინ საქართველოს მწერალთა კავშირში შეკრებილმა მწერლებმა ყურადღებით მოისმინეს ამხ. ი. აბაშიძის ინფორმაცია მოსკოველთა ინიციატივით თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნის შესახებ. პირველი სიტყვა პოეტ ა. აბაშელს მიეცა. მან თავდაცვის ფონდში შეიტანა 500 მანეთი და 1000 მანეთის ობლიგაციები, ა. მაშაშვილმა ფონდში შეიტანა 2.000 მანეთი, ს. ეულმა—500 მანეთი და 2.000 მან. ობლიგაციები, ქ. გამსახურდიამ—1000 მან., ქ. ჰეჭიაძემ—500 მან., ი. მოსაშვილმა—500 მან. და 2.000 მან. ობლიგაციები, ი. გრიშაშვილმა—500 მან. ობლიგაციები, ქ. ლორთქიფანიძემ—1.000 მან. და 500 მან. ობლიგაციები, ე. პოლუმორდვინოვმა — 300 მან. ობლიგაციები და ყოველთვიურად სამი დღის ხელფასი, შ. შუბლაძემ — 200 მან. ობლიგაციები და 1 დღის ხელფასი ყოველთვიურად, პ. კაკაბაძემ — 500 მანეთი, გრ. აბაშიძემ—500 მან., ს. მთვარაძემ—400 მან. ობლიგაციები და ვერცხლის პორტსიგარი, ვ. წულუკიძემ—300 მან. და 700 მან. ობლიგაციები, შ. დადიანმა—500 მანეთი, ა. ადამიამ—500 მან., ბ. ჟღენტმა—1000 მან. ობლიგაციები და 2 დღის ხელფასი, გ. ქიქოძემ—400 მან. და ობლიგაციები, ბ. სიხარულიძემ—500 მან. და 500 მან. ობლიგაციები, გ. ტაბიძემ—500 მან. ობლიგაციები, გ. ლეონიძემ—2.000 მანეთი, ი. ლისაშვილმა—900 მან. ობლიგაციები, ა. ჰეიშვილმა—400 მან. და 500 მან. ობლიგაციები, ნ. ლორთქიფანიძემ—400 მან. ი. აბაშიძემ—500 მან. და 1500 მან. ობლიგაციები, მარიჯანმა—500 მან. და ერთი დიდი ვერცხლის კოვზი, ს. კლდიაშვილმა—500 მან. და 500 მან. ობლიგაციები, ი. ტატიშვილმა—ჰონორარის 5% ომის დამთავრებამდე, მწერალთა კავშირის და მისი დაწესებულების თანამშრომლებმა—1-2 დღის ხელფასი ყოველთვიურად. გადარიცხვებისა და ძვირფასი ნივთების გარდა მწერლებმა ერთ დღეს შეაგროვეს 27.000 მანეთი. თანხის შეგროვება გრძელდება.

მიტინგი თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, მიძღვნილი თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნისადმი. ტრიბუნაზე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. თ. სტურუა. ფოტო რ. აკოფოვისა.

წითელი არმიის უმაღლესი უფემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოთ წითელი არმიის უმაღლესი უფემადგენლობის პირებს სამხედრო სახელწოდებანი, რაც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. ლეონიდე გრიგოლის-ძე **პეტროვსკის.**

გენერალ-მაიორის სახელწოდება:

1. ვასილ სტეფანეს-ძე **რაკოვსკის,**
2. იაკობ სტეფანეს-ძე **ფოკანოვს,**
3. ნიკოლოზ ანდრიას-ძე **პრიშჩეპას.**

ავიაციის გენერალ-მაიორის სახელწოდება:

1. გრიგოლ ალექსის-ძე **ვოროჟეიკინს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ი. სტალინი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი.**

მოსკოვი, კრემლი.
1941 წლის 31 ივლისი.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა მოსკოვზე 2 აგვისტოს ღამით

2 აგვისტოს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავთა რამდენიმე ეშელონმა სცადა თავს დასხმოდა მოსკოვს. ქალაქისაკენ დიდ სიმაღლეზე შემოიჭრა რამდენიმე ცალკეული თვითმფრინავი. დანარჩენები ჩვენმა საზენიტო ბატარიებმა და ღამის ავიაგამანადგურებლებმა გაჰფანტეს და მოსკოვთან არ მიუშვეს. რამდენიმე საცხოვრებელ სახლში გაჩენილი მცირე ხანძარი სწრაფად ჩაქრობილ იქნა. სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა გეგმები შეასრულეს

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა 31 ივლისს 108 პროცენტით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა.

საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის დამზადების სამი თვის გეგმა შესრულებულია 113,7 პროცენტით, წლიური გეგმა კი 70,5 პროცენტით.

გერინგი დააპატიმრეს?

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო (საქტესი). ჟურნალი „ნიუს უიკ" იუწყება, რომ ხმები გერინგის დაპატიმრების შესახებ სავსებით დადასტურდა. როგორც საქმესთან გაცნობილი წყაროებიდან გადმოგვცემენ, გერინგი საპატიმროში მოათავსეს.

— გასაკვირველია, — სწერს ჟურნალი, — რომ გერმანელები არც კი უარჰყოფენ უცხოეთის პრესაში დაბეჭდილ ცნობებს გერინგის ბედის შესახებ. რაც შეეხება გერინგის ფოტოგრაფიებს, რომლებსაც ხანგამოშვებით ბეჭდავს გერმანიის პრესა, ისინი არ წარმოადგენენ იმის საკმაოდ დამაჯერებელ საბუთს, რომ გერინგი შერისხული არ არის.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1941 წლის 2 აგვისტოს საღამოს ცნობიდან

2 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლებს მტერთან **პორხოვის, სმოლენსკის, კოროსტენის, ბელაია ცერკოვის** მიმართულებებით და ფრონტის ესტონეთის უბანზე.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

ბალტიის ზღვაში ჩვენმა გემებმა და ავიაციამ იერიში მიიტანეს გერმანიის 8 ტრანსპორტზე, რომლებიც 5 ნაღმოსნის თანხლებით მიდიოდნენ.

წინასწარი ცნობებით მოსპობილია მტრის ერთი ნაღმოსანი და ერთი ტრანსპორტი, დაზიანებულია 2 ნაღმოსანი და ერთი ტრანსპორტი. მტერი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო თავისი ამოცანის შეუსრულებლად. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია.

ჩვენს ავიაციას სახმელეთო ჯართან თანამოქმედებით იერიშები მიჰქონდა მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ.

1 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ მოსპო გერმანიის 41 თვითმფრინავი. ჩვენ 19 თვითმფრინავი დავკარგეთ.

31 ივლისის განმავლობაში გერმანიის თვითმფრინავებმა მცირე ჯგუფებად რამდენჯერმე სცადეს შემოჭრილიყვნენ ლენინგრადისაკენ, მაგრამ განდევნილ იქნენ ჩვენი ავიაციის მოქმედებით და საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(1 აგვისტოს საღამოს ცნობა)

1 აგვისტოს განმავლობაში ჩვენს ჯარებს ბრძოლები ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან **პორხოვის, ნეველის, სმოლენსკისა და ჟიტომირის** მიმართულებებით. ფრონტზე ჯარების მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენი ავიაცია სახმელეთო ჯარებთან შეთანხმებულად კვლავ ესხმოდა თავს მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ნაწილებსა და ქვეითს ჯარს და მის ავიაციას აეროდრომებზე. ბალტიის ზღვაში ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი და 5 ათასი ტონა წყალწყვის ტანკერი, მოწინააღმდეგის ოთხი ხომალდი სერიოზულად იქნა დაზიანებული.

31 ივლისს საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა 15 თვითმფრინავი. ჩვენ 7 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

შენაერთმა, რომელსაც ამხ. ტკაჩენკო მეთაურობს, გაანადგურა ფაშისტთა პოლკი. ბრძოლის ველზე 500-მდე მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები, 6 ტანკი, ორი ჯავშნიანი მანქანა, 9 ზარბაზანი, 8 ტყვიამფრქვევი, 8 სატრანსპორტო მანქანა ჭურვებითურთ, 18 ავტომობილი, 50 ველოსიპედი და სხვა დავლა.

* * *

ამხ. სმირნოვის ქვემეხის გუნდს თავს დაესხა გერმანელთა 5 ტანკი. მემიზნე ამხ. კისელიოვმა პირდაპირი დაშენით ორი ტანკი დაცხრილა. მტრის სამი დანარჩენი მანქანა უკუიქცა.

* * *

კაპიტან ევდოკიმოვის სატანკო ბატალიონმა სოფელ ი-ს მახლობლად მოსპო ჯგუფი ფაშისტთა ტანკებისა, რომლებიც მიწაში იყო ჩაფლული და რომლებსაც გერმანელთა სარდლობა უძრავ სასროლო წერტებად იყენებდა. ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ტანკისტებმა აღმოაჩინეს, რომ გერმანელთა ზოგიერთი ტანკის ლიუკების სახურავები გარედან დახშული იყო. როცა ეს ტანკები გააღეს, იქ სრულიად ლოთმიხდილი გერმანელი ჯარისკაცები აღმოჩნდნენ. როგორც ტყვე გერმანელი ჯარისკაცის ა. შლოტჰაუერის ჩვენებიდან გამოირკვა, ასეულს, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, გარს შემოერტყნენ საბჭოთა მძიმე ტანკები. გაჩაღებული ბრძოლის დროს მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანელთა 15 ტანკი, დანარჩენმა 8 ტანკმა მოასწრო ახლომდებარე ტყეში მიმალვა. გადარჩენილი ფაშისტური მანქანები მეორე დღეს ბრძოლის ადგილზე დაბრუნდნენ, მაგრამ საწვავის უქონლობის გამო ვერცერთი მათგანი იქიდან ვეღარ დაიძრა. მაშინ,—მოგვითხრობს ტყვე,—ჯარისკაცებს ებრძანათ ჩაეფლოთ ტანკები მიწაში. ამის შემდეგ ტანკების ლიუკები ოფიცრებმა გარედან დახშეს, რათა გერმანელ ტანკისტებს ტანკებიდან გაქცევა არ შესძლებოდათ.

* * *

ჰაერის ფაშისტი ბანდიტების წინააღმდეგ მამაცურად იბრძვის მოსახლეობა არა მარტო ჩვენი ქალაქებისა, არამედ სოფლებისაც.

ერთი ჰიტლერელი ყუმბარმშენი ცდილობდა მოსკოვისაკენ გამოჭრილიყო. მეზენიტეთა გადამღობავმა ცეცხლმა მას ჩვენი დედაქალაქისაკენ გზა გადაუჭრა. მაშინ ფაშისტმა მფრინავმა ყუმბარები დააყარა კუნცევოს რაიონის სოფელ მიხალკოვს. ერთი ცეცხლგამჩენი ყუმბარა დაეცა ტატიანა ნოვიკოვას სახლის სხვენს. კოლმეურნე ქალი ერთი წამითაც არ დაბნეულა და სწრაფად გადააგდო ყუმბარა მიწაზე. კოლმეურნეებმა ილია გერასიმოვმა და ალექსი ალექსახინმაც გააუვნებლეს ყუმბარები, რომლებიც მათ სახლებს დაეცა. სულ სოფელ მიხალკოვს 20 ცეცხლგამჩენი ყუმბარა დააყარეს, მაგრამ არცერთ მათგანს ხანძარი არ გამოუწვევია.

* * *

გერმანელთა საველე ფოსტაში, რომელიც ჩვენი ჯარის ნაწილებმა ხელში ჩაიგდეს, აღმოჩნდა გერმანელ სამხედრო მოსამსახურეთა მთელი დასტა წერილები, რომლებიც გერმანიის არმიის მე-8 ქვეითი დივიზიის ფაშისტურ ცენზურას დაუკავებია. ეს წერილები გამოხატავენ ბევრი გერმანელი ჯარისკაცის სულისკვეთებას.

ეფრეიტორი კონრად დუმლერი თავის უფროს ძმას სწერს:

„... ოთხი წელია არმიაში ვარ, ორი წელი კი ომში, მაგრამ ასე მგონია, ნამდვილი ომი მხოლოდ ახლა დაიწყო. ყველაფერი, რაც აქამდე იყო, სავარჯიშო მანევრებია და მეტი არაფერი. რუსები საოცარი გაბედულები არიან. ისინი ეშმაკებივით იბრძვიან. ასეულში ძველი ამხანაგებიდან თითქმის აღარავინ დარჩენილა. სულ ახლები არიან, მაგრამ ისინიც დიდხანს ვერ რჩებიან. ყოველდღე სდგება მოკლულთა და დაჭრილთა გრძელი სიები. სარდლობა, თითქოს პატარა ბავშვები ვიყოთ, ნანინას გვეუბნება და გვარწმუნებს — გამარჯვება ახლოს არისო. ეს თავისმოიმედეობა შეგვზიზღდა, ვინაიდან ჯარისკაცები საკუთარი თვალით ხედავენ, რაც ხდება..." ქ. დუმლერის წერილზე ცენზორს წაუწერია: „უცნაურია. დუმლერი ბევრ კამპანიაში მონაწილეობდა და მუდამ კარგი სახელი ჰქონდა. აქვს ასეულის მეთაურის რეკომენდაცია, შემსრულებელი და გულადი ჯარისკაცია. მაინც დაწესდეს განსაკუთრებული მეთვალყურეობა, შემოღებულ იქნას მასზე ბარათი".

პესიმიზმით არის გაჟღენთილი ჯარისკაც კარლ კრაფტის წერილი მოხუცი მშობლებისადმი. კრაფტი გამოტეხილად სწერს მამას: „...წინათ ვცდილობდი არაფერზე არ მეფიქრნა და ბრმად ვასრულებდი ყოველ ბრძანებას. გადავიქეცი ავტომატად, რომელსაც რასაც გინდა ისას უზამ. მაგრამ აღარ შემიძლია განვაგრძო მთელი ეს აოხრება. აღმოსავლეთის ფრონტზე ერთ თვეს ყოფნას ჩემთვის ამაოდ არ ჩაუვლია. დავრწმუნდი, რომ რ-ის წინააღმდეგ ომი ჩვენთვის ცუდად დამთავრდება. ეს ომი სანახევროდ ჩვენ უკვე წავაგეთ". წერილის მარცხენა კუთხეში არის ცენზორის მოკლე რეზოლუცია: „მიეცეს სამართალში. მამხილებელი მასალა სრულიად საკმარისია".

* * *

გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში, ოსვენციმში (პოლონეთი), სადაც ათასობით პოლონელი პატრიოტები იტანჯებიან, სერიოზული მღელვარება მოხდა. გზის სამუშაოზე გაგზავნილმა პატიმართა ჯგუფმა სისტემატური ცემა-ტყეპა და შიმშილი ვეღარ აიტანა, მცველებს ქვა დაუშინა და გაიფანტა. გამხეცებულმა ფაშისტებმა სასტიკად დასაჯეს დანარჩენი პატიმრები: ყველა პოლონელს ჯოხით სცემეს. 10 პატიმარმა გაჯოხვა ვერ აიტანა და გარდაიცვალა. ერთერთ საკონცენტრაციო ბანაკში, პლონსკის რაიონში, მხოლოდ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში სურავანდითა და წამებით დაიღუპა 240 პატიმარი.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოქმედი წითელი არმიის ნ ნაწილის საველე ჰოსპიტალში მიიყვანეს კოლმეურნის ქალი, 13 წლის გოგონა ზინა გ. გოგონა მხეცურად გაეუპატიურებინა გერმანელ ოფიცერს. როგორც სამედიცინო შემოწმებით გამოირკვა, ფაშისტ მოძალადეს სიფილისი შეუყრია გოგონასათვის.

* * *

ომის პირველი დღეებიდანვე ათასობით ახალგაზრდა პატრიოტი ქალები წავიდნენ ფრონტზე სამედიცინო დებად. ახალგაზრდა გმირი ქალები მამაცურად და თავდადებით იქცევიან მოწინავე პოზიციებზე. ლენინგრადის ანისიმოვის სახელობის კომბინატის მფთილავი მ. კულიკოვა ყუმბარის ნამსხ-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დასასრული)

ვრევით დაიჭრა ბრძოლის ველზე. ამ დროს იგი დაჭრილ ტანკისტს შველოდა. თუმცა დაჭრილი იყო, მაგრამ იგი ტყემდე მიცოცდა და ორ მებრძოლს დაუძახა, რომლებმაც ბრძოლის ველიდან გააყვანინეს დაჭრილი მეთაური. როცა მეთაურის სიცოცხლეს საფრთხე აღარ მოელოდა, ამხ. კულიკოვამ ითხოვა—საექიმო დახმარება აღმომიჩინეთო. სადგურ ვ-ის რაიონში შეტევაზე გადავიდა ნ პოლკი. რაზმელი ქალები ქ. კუდრიავცევა და ე. ტიხომიროვა მებრძოლებთან ერთად მიდიოდნენ. გულადი ქალიშვილები მტრის ცეცხლ ქვეშ შველოდნენ დაჭრილებს. როცა მათ ცოცვით მიჰყავდათ საფრისაკენ სერიოზულად დაჭრილი მებრძოლი, ამხ. კუდრიავცევა ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა ხელში. რაზმელმა ქალმა სწრაფად შეიხვია ხელი და კვლავ წინ გასწია. რაზმელმა ქალებმა ა. სეროვამ და ქ. ტიმოფეევამ ღამით მოახერხეს ფრონტის ხაზს იქით გადასვლა და მტრის ზურგიდან გამოიყვანეს ორი მძიმედ დაჭრილი მებრძოლი, რომლებიც ქალიშვილებმა საიმედოდ დამალეს წითელარმიელთა ნაწილის ახალ პოზიციებზე გადანაცვლების წინ.

ათეულათასობით ქალიშვილები წარმოებას მოუწყვეტლივ ეუფლებიან სამედიცინო ცოდნას, რათა საველე ჰოსპიტლებსა და სავადმყოფოებში წავიდნენ. მოსკოვის მე-175 სკოლის კოლექტივის ყველა მასწავლებელი ქალი, სკოლის დირექტორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ლეონოვას მეთაურობით, სამედიცინო დების კურსებზე სწავლობენ. რიაზანში 400-ზე მეტი ქალიშვილი წარმოებას მოუწყვეტლივ ემზადება ჰოსპიტლებსა და სავადმყოფოებში სამუშაოდ. სტალინოს ოლქის ქალაქებსა და მუშათა დაბებში 1.400 წითელი და ემზადება, შექმნილია 2.500 სანიტარული რაზმი, რომლებშიც ათეულათასობით რაზმელი ქალიშვილები მეცადინეობენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(1 აგვისტოს დილის ცნობა)

1 აგვისტოს ღამის განმავლობაში მტერთან ბრძოლები გრძელდებოდა **ნოვორჟევის, ნეველის, სმოლენსკისა და ჟიტომირის** მიმართულებებით.

ფრონტის დანარჩენ მიმართულებებსა და უბნებზე დიდი საბრძოლო მოქმედება არა ყოფილა.

ჩვენი ავიაცია სახმელეთო ჯარებთან თანამოქმედებით განაგრძობდა იერიშების მიტანას მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ.

* * *

სმოლენსკის მიმართულებით წარმოებული ბრძოლების შედეგად წითელი არმიის ნაწილებმა გაანადგურეს გერმანიის არმიის მე-137 ქვეითი დივიზია. დივიზიის განადგურება შემდეგ პირობებში მოხდა: გათენებისას ჩვენმა ჯარებმა იწყეს გერმანელთა ძლიერ შევიწროება. უკანდახეული ფაშისტური ნაწილების დასახმარებლად გერმანიის სარდლობამ გამოგზავნა მე-137 დივიზია, რომელიც ბრძოლაში ჩაება პირდაპირ მარშიდან. მეთაურ ლუკინის ქვედანაყოფმა გაშლის საშუალება არ მისცა გერმანიის დივიზიას და ენერგიული შეტევა დაიწყო მტრის ფლანგზე. წითელი არმიის ნ შენაერთის დანარჩენი ნაწილები სწრაფად შემოერტყნენ გარს გერმანიის დივიზიას. საბჭოთა არტილერიამ ფაშისტების წინააღმდეგ გაძლიერებული ცეცხლი გააჩაღა. საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. პოლიტხელმა იაშჩენკომ ორჯერ წაიყვანა თავისი ქვედანაყოფი ხიშტით იერიშზე გერმანელთა წინააღმდეგ. ქვედანაყოფის მეომრებმა მოსპეს ასამდე გერმანელი და ხელთ იგდეს 4 ზარბაზანი, 14 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ნაღმტყორცნი, 47 ცხენი და სხვა საჭურველი. მამაცურად იბრძოდა ლეიტენანტ კუპცის ქვედანაყოფი. ამ ქვედანაყოფის წითელარმიელებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტერს და მწყობრიდან გამოიყვანეს 6 დაზგის ტყვიამფრქვევი. წარმატებით მოქმედებდა ჩვენი არტილერია, რომელმაც ასობით გერმანელი ჯარისკაცი მოსპო. განსაკუთრებით ისახელა თავი ქვემეხის მეთაურმა ამხ. კუნდენკომ, რომელმაც მარჯვე სროლით მოსპო 50 ფაშისტი ჯარისკაცი, 4 ტყვიამფრქვევი და ერთი ნაღმტყორცნი. ქვემეხის მეთაურმა ამხ. ბედიტკომ პირდაპირი სროლით დახვრიტა ფაშისტ მოტოციკლისტთა ჯგუფი და მტრის კავალერიის რაზმი. ერთერთ ფლანგზე გერმანელები ცდილობდნენ გაერღვიათ რკალი, მაგრამ მათ შეხვდნენ და უკუაქციეს კაპიტან კოვალევის ქვედანაყოფმა და ტანკისტებმა.

რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა ჯარის სწრაფ იერიშს და პანიკით მოცულნი გაიქცნენ, ამასთან დაჰყარეს იარაღი, ტრანსპორტი და საომარი მასალა. ბრძოლის ველზე დარჩა ბევრი მოკლული და დაჭრილი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

კაპიტან მანუილოვის ნაწილმა განდევნა მტერი ე. პუნქტიდან და დაედევნა მას. გერმანელებმა ნაჩქარევად დაიხიეს უკან სატვირთო ავტომანქანებით, ამასთან დასტოვეს 12 ქვემეხი, 25 დაზგის ტყვიამფრქვევი, 15 ნაღმტყორცნი, საომარი მასალა, ბევრი დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი. როდესაც ფაშისტები ტყეს მიუახლოვდნენ, სადაც ისინი დამალვას აპირებდნენ, მათ ტყვიამფრქვევები და ნაღმტყორცნები დაუშინა უფროს ლეიტენანტ ტაბაშნიკის ქვედანაყოფმა, რომელიც ოკუპირებულ ზონაში მოქმედებს. უკან დასახევ გზა მოჭრილი იყო. ბრძოლის [illegible]

ლეიტენანტ იაშჩუნსკის ასეული. ბრძოლის ველზე 350 მოკლული და დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. ჩვენმა მეომრებმა ხელთ იგდეს 8 დაზგის ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმტყორცნი და 19 მსუბუქი ტყვიამფრქვევი.

* * *

ფაშისტთა თვითმფრინავი ლენინგრადისაკენ გაჭრას ცდილობდა. ქალაქის მისასვლელებთან მას თავიანთი ავიაგამანადგურებლით შეხვდნენ ჩვენი მფრინავები—უფროსი პოლიტხელი მურგა და ლეიტენანტი ნიკიტინი. ტყვიამფრქვევის რამდენიმე გასროლის შემდეგ მტრის თვითმფრინავის მარჯვენა მოტორს და მარჯვენა სიბრტყეს ცეცხლი გაუჩნდა. ფაშისტთა მფრინავებმა ხანძარი ჩააქრეს. მაშინ ამხ. მურგა და ნიკიტინი უშუალოდ მიუახლოვდნენ მტრის ყუმბარმშენს და კვლავ მიიტანეს იერიში. „იუნკერსი“ დაბლა ფრენაზე გადავიდა. საბჭოთა მფრინავები პიკირებით მიჰყვნენ გერმანელს და მოსპეს იგი უახლოესი ტყის თავზე. ამ ბრძოლაში მფრინავმა მურგამ მეექვსე საჰაერო გამარჯვება მოიპოვა.

* * *

მეომართა ჯგუფი პოლიტხელის ვორონოვის მეთაურობით დასაზვერავად იმყოფებოდა. ამხ. ვორონოვმა გერმანელთა ასეული შეამჩნია და გასცა ბრძანება, გარს შემოერტყითო. მეომრები გაბედულად გადავიდნენ იერიშზე. ელვისებური იერიშით თავზარდაცემულმა გერმანელებმა სუსტი წინააღმდეგობა გაგვიწიეს და სწრაფად იქნენ განიარაღებულნი. წითელარმიელებმა ტყვედ ჩაიგდეს 104 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი უნტერ-ოფიცერი. ხელთ იგდეს ნადავლი—მსუბუქი მანქანა, 3 სატვირთო მანქანა, ფურაჟით დატვირთული 6 საბარგული და საზენიტო ქვემეხი ჰურვებითურთ.

* * *

ფაშისტთა მიერ დაკავებული საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობამ თან წამოიღო ან მოსპო მთელი ძვირფასი ქონება. გამოსარჩენის ძებნაში ფაშისტი ყაჩაღები მართლმადიდებელთა ეკლესიებს ძარცვავენ. გერმანელი ჯარისკაცები იტაცებენ საეკლესიო ქონებას, მღვდლების სამოსელს, ხატების სამკაულებს. სოფელ ზაპოლიეში ეკლესიის დარაჯი 60 წლის მოხუცი სიმონ ბელობოროდოვი, რომელიც ცდილობდა მძარცველებისათვის წინააღმდეგობა გაეწია, ფაშისტებმა სამრეკლოდან ჩამოაგდეს.

* * *

მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები-რკინიგზელები გმირულად იბრძვიან იმისათვის, რომ სწრაფად გაატარონ ფრონტზე გასაგზავნი ტვირთი. მემანქანე ამხ. მელნიკოვის ბრიგადას ფრონტისპირა ზოლში 10 დღეს დაჰყავდა ორთქლმავალი ისე, რომ ბრიგადა ორთქლმავალს არ მოშორებია. მემანქანე ამხ. ბეზუგლი ორჯერ დასჭრეს გზაში, მაგრამ ეშელონი დანიშნულების ადგილას დაუგვიანებლად მიიყვანა. სიზრანის სადგურის დეპოს მემანქანემ ამხ. ტურშინინმა, რომელმაც მნიშვნელოვანი დავალება მიიღო, ორთქლმავალზე 61 საათს იმუშავა გამოუცვლელად.

ტრანსპორტზე ფართოდ ვრცელდება მძიმე წონის მატარებლების მემანქანეთა გამოცდილება. იაროსლავლის რკინიგზის სონკოვოს სადგურის დეპოს მემანქანეებმა 5 დღეში ცამეტი მძიმე წონის მატარებელი მოიყვანეს და ნორმას 3.400 ტონით გადააჭარბეს. 10 დღეში ნორმის გადამეტებით 4.200 ტონაზე მეტი ტვირთი გადაზიდეს ივანოვოს დეპოს მძიმე წონის მატარებელთა მემანქანეებმა.

მემანქანეებს არ ჩამორჩებიან რკინიგზის ტრანსპორტის სხვა მშრომელებიც. ამხ. სოლოვიევის [illegible]

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების დადებაზე

ინგლისი

ლონდონი, 31 ივლისი (საკდესი). მთელი ინგლისური პრესა მიესალმება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმებას. ცნობა შეთანხმების დადების შესახებ გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე და მსხვილი სათაურებით მოათავსეს. გაზეთებმა მოათავსეს აგრეთვე ფოტოსურათები, რომლებიც გვიჩვენებენ მაისკისა და სიკორსკის მიერ შეთანხმების ხელმოწერის მომენტს და იქვე მდგომ ჩერჩილსა და იდენს.

გაზეთ „ტაიმსს“ დიპლომატიური კეთილი ნება-სურვილის ტრიუმფად მიაჩნია ის გარემოება, რომ რუსეთმა და პოლონეთმა ყველა უთანხმოება მოაწესრიგეს და მჭიდრო აქტიურ კავშირზე გადავიდნენ. ორივე ქვეყანა დიდი ბრიტანეთის მოკავშირეა და ორივე ჰიტლერიზმის მტერია. ეს მოსაზრებანი სჭარბობდნენ ყოველივე დანარჩენს. გაზეთი დასძენს, რომ პოლონეთის არმია, რომელიც შედგენილ იქნება რუსეთში, მნიშვნელოვნად გაადიდებს მოკავშირეთა სამხედრო ძლიერებას.

რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმება იმის ნიშანია, რომ მოკავშირენი დარწმუნებული არიან ჰიტლერის გერმანიაზე გამარჯვებაში. პოლონეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტის ბედნიერად გადაწყვეტა ახალ იმედს ჩაუნერგავს პოლონელებს, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან ნაცისტების უღელქვეშ.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ ფაშიზმს არცერთ ქვეყანაში არ ჩაუდენია იმდენი მხეცობა, რამდენიც პოლონეთში ჩაიდინა. მაგრამ ტერორმაც კი ვერ წარმოშვა პოლონეთში კვისლინგები. ახლა ჰიტლერი პოლონეთ-რუსეთის შეთანხმების წინაშე იმყოფება. ეს გაადიდებს მისი არმიის სიძნელეებს და აახლოებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გონივრულ თანამშრომლობას.

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). ინგლისის პრესა კვლავ კომენტარებს უკეთებს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმებას. გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ სწერს, რომ მთლიანად ჩაიფუშა ჰიტლერის ცდა მოეწყო ჯვაროსნული ლაშქრობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ და ამით შეესუსტებია დემოკრატიული ქვეყნების სიძულვილი მისდამი.

ჩეხოსლოვაკია

ციურიხი, 31 ივლისი (საკდესი). პრაღიდან აქ მიღებული ცნობებით, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების ხელმოწერის ამბავი სწრაფად გავრცელდა ჩეხოსლოვაკიის მთელ დედაქალაქში. ხალხი არ მალავს თავის სიხარულს. ყველა იმ აზრისაა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, ისე როგორც სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის უფრო ადრე დადებული შეთანხმება, მოასწავებს ჰიტლერული ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხთა ერთიანი ფრონტის გაფართოებას.

ციურიხში მცხოვრები პოლონელები შეთანხმების ხელმოწერის ამბავს საყოველთაო აღტაცებით შეხვდნენ.

ჰოლანდია

ლონდონი, 31 ივლისი (საკდესი). ლონდონის ჰოლანდიელთა წრეებში მიღებულია ცნობები, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების ხელმოწერის შესახებ ლონდონის რადიოს მიერ გადაცემულმა ცნობამ ჰოლანდიის მოსახლეობაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. აქ აღნიშნავენ, რომ პოლონელი ხალხი, რომელსაც ერთი წუთითაც კი არ შეუწყვეტია გმირული ბრძოლა ჰიტლერელ ოკუპანტებთან, ახლა თავის ძალას აერთიანებს სსრ კავშირთან საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის. ამიტომ ჰოლანდიელი ხალხის სხვადასხვა წრეებში იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება ფაშისტური ტირანიისათვის ახალი ლახვარის ჩაცემაა.

ნორვეგია

სტოკჰოლმი, 1 აგვისტო (საკდესი). ნორვეგიის მთელი რიგი ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ რეგულარულად მუშაობს ნორვეგიის არალეგალური რადიოსადგური „თავისუფლების რადიო“. გუშინ სადგურმა მოაწყო ორი სპეციალური გადაცემა, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის მიერ ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მთავრობებთან დადებულ შეთანხმებებს.

იუგოსლავია

ალექსანდრია, 1 აგვისტო (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, საბჭოთა კავშირ-პოლონეთს შორის დადებულ შეთანხმებას უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ბელგრადში, კრუშევაცში, ვალევოსა და სხვა ქალაქებში. ბელგრადში სთვლიან, რომ ჩეხოსლოვაკიასთან შეთანხმების დადება, იუგოსლავიასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და, ბოლოს, პოლონეთთან შეთანხმების დადება აერთიანებს ყველა დამონავებულ ხალხს, და, უწინარეს ყოვლისა, სლავ ხალხებს, ფაშისტურ გერმანიასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

რუმინეთი

ბერნი, 1 აგვისტო (საკდესი). პოლონელთა ადგილობრივ ემიგრანტულ წრეებში მიღებული ცნობების თანახმად, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების დადების ცნობამ რუმინეთში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმებას რუმინეთის ოპოზიციური პარტიების— ლიბერალებისა და ნაციონალ-ცარანისტების წრეებში. ამ შეთანხმებამ დიდი სიხარული გამოიწვია აგრეთვე პოლონელთა ფართო მასებს შორის, რომლებიც რუმინეთში გაიხიზნენ პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის დროს და რომლებიც იმყოფებიან რუმინეთში ემიგრანტებად და საკონცენტრაციო ბანაკებში.

პოლონეთი

ჟენევა, 1 აგვისტო (საკდესი). პოლონელთა ემიგრანტულ წრეებში მიღებული ცნობების თანახმად, ცნობა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შორის შეთანხმების დადების შესახებ ელვის სისწრაფით მოედო მთელს ვარშავას და ხალხი მას აშკარა ზეიმით შეხვდა. არალეგალურმა რადიოსადგურმა, რომელიც სადღაც ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე იმყოფება, გადასცა შეთანხმების შინაარსი და მასთან მოწოდება პოლონეთის ხალხისადმი, რომელშიც ნათქვამია:

„პოლონელებო! ბევრი საშინელი წამების დღეები, სიმწარე და დამცირება გამოვიარეთ ჩვენ მას შემდეგ, რაც გერმანული ჩექმა შეეხო ჩვენს მშობლიურ მიწას. წყეულმა ნაცისტებმა წაგვართვეს თავისუფლება, პური; მათ აწამეს ასი ათასობით ჩვენი ძმები და დები. მაგრამ დღეს ჩვენ კვლავ გვიბრუნდება იმედი. ჩვენი რუსი ძმები ჩვენთან არიან. ისინი უკვე ანადგურებენ ფაშისტ ურდოებს, ურტყამენ მათ ხმელეთზე, წყალში და ჰაერში. ჩვენ, პოლონელებს, არცერთი დღით არ აგვიღია ხელი ბრძოლაზე, არ მოგვიხრია ქედი საზიზღარი დამპყრობლის წინაშე. ახლა ჩვენი ძალა შეუერთდება დიდი საბჭოთა ხალხის ძალას, მის ძლიერ წითელი არმიის ძალას, ყველა იმ სახელმწიფოთა დიად კოალიციის მთელს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ჰიტლერიზმთან ბრძოლის გზას დაადგნენ. აღსდექ, დიდო პოლონეთის ხალხო, მტერთან საბრძოლველად! ყველა, ვისაც კი შეგიძლია იარაღი ატარო, წადი პარტიზანულ რაზმებში, გაანადგურე ოკუპანტები, ლიანდაგიდან გადააგდე მათი მატარებლები, გასწყვიტე კავშირგაბმულობის ხაზები, ცეცხლი წაუკიდე საწყობებს, ანადგურე ცოცხალი ძალა, სადაც კი შესაძლებელია!“

შვეცია

სტოკჰოლმი, 1 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ ფართო კომენტარებს უკეთებს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმებას. საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის შეთანხმების დადებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს ნაციზმის ყველა მტერთა გაერთიანებისათვის.

ფინეთი

სტოკჰოლმი, 1 აგვისტო (საკდესი). ჰაპარანდის სასაზღვრო სადგურზე ფინეთიდან მოვიდა ლტოლვილთა ჯგუფი. ჩამოსულნი ამბობენ, რომ ფინეთის ხალხის მასები დიდი სიმპატიით ეკიდებიან სსრ კავშირს და განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ. განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია ცნობამ დემოკრატიული სახელმწიფოების მძლავრი კოალიციის შექმნის შესახებ. „დღეს, — ამბობს მასწავლებელი მანტერე, — ჩვენ სიხარულით შევიტყეთ, რომ საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის დადებულია შეთანხმება. ეს კავშირი ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა ხალხის მისწრაფებას მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს თავის მეზობლებთან. პოლონელი ხალხი, ისე როგორც ჩვენი ფინელი ხალხი დამოუკიდებლობას სსრ კავშირის ხალხთან ერთობლივ ბრძოლაში მოიპოვებს“.

გერმანია

ბერნი, 1 აგვისტო (საკდესი). როგორც ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების დადებამ გერმანიის მმართველ წრეებში შეშფოთება გამოიწვია. ფაშისტთა მეთაურებს ეშინიათ, რომ ანტიფაშისტური ფრონტის ახალი გაფართოება კიდევ უფრო განუმტკიცებს ხალხს ჰიტლერიზმის აუცილებელი კრახის რწმენას. გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ამჯობინა დუმილით აევლო გვერდი შეთანხმების დადების ფაქტისათვის. ამავე დროს ბერლინიდან გაცემული ბრძანების თანახმად, იტალიის სტეფანის სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომელშიც იმოწმებს „ბერლინის პოლიტიკური წრეების“ აზრს და ცდილობს შეამციროს შეთანხმების მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის 70-ათასიანი დემონსტრაცია ურუგვაიში

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო (საკდესი). მონტევიდეოში (ურუგვაი) შესდგა დემონსტრაცია საბჭოთა კავშირისათვის მხარდამჭერის ლოზუნგით. დემონსტრაციაში 70 ათასი კაცი მონაწილეობდა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. დემონსტრაციის შემდეგ დიდი მიტინგი გაიმართა.

რეიტერის სააგენტო კირკენესსა და პეტსამოზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ავიაციამ კირკენესისა და პეტსამოს ნავსადგურებზე თავდასხმით ლახვარი ჩასცა გერმანიის იმ პუნქტს, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე ინგლისისათვის ყველაზე მახლობელ და მისაწვდომ მანძილზე მდებარეობს. ეს წარმოადგენს ყველაზე უშუალო დახმარებას, როგორიც კი საბჭოთა კავშირს დღემდე აღმოუჩინა. კირკენესი და პეტსამო საბჭოთა საზღვრის მახლობლად მდებარეობენ, ამიტომ გერმანიის ჩრდილოეთის კომუნიკაციებზე თავდასხმა მეტად სასარგებლო საქმეა. ეს თავდასხმა გვიჩვენებს, რომ ინგლისი სულ უფრო-დაუფრო უახლოვდება სსრ კავშირისათვის უშუალო დახმარების გაწევას.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 31 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ გუშინ, დღისით, ინგლისის „ბლენჰეიმის“ ტიპის ყუმბარმშენთა შენაერთმა, გერმანიის ტერიტორიულ წყლებში საზვერავი ფრენის დროს, ჰოლანდიის ყურის მახლობლად შეამჩნია გემების ქარავანი, რომელიც ბადრაგის თანხლებით მიდიოდა. [illegible] ვისა სერიოზულად დაზიანდა და ჩაძირვა იწყო. გარდა ამისა, ყუმბარა პირდაპირ მოხვდა ორ სხვა გემს, რომელთა საერთო წყალწყვა 2.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონას უდრის. ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა ინგლისის 7 თვითმფრინავი.

წუხელ ინგლისის თვითმფრინავები, მიტისმეტად არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, თავს დაესხნენ დასავლეთ გერმანიას და ყუმ- [illegible]

გერმანიის ხრიკები პირენეის ნახევარკუნძულზე

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, რომ საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში ჯარების გადაჯგუფება ხდება. გაზეთი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ მოკლე ხანში შესაძლებელია გერმანიის დივერსია პირენეის ნახევარკუნძულის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, პორტუგალიაში შეშფოთებაა, რომელსაც აძლიერებენ ცნობები პორტუგალიის საზღვრის გასწვრივ ესპანეთის არმიის კონცენტრაციის შესახებ. ესპანეთის შტაბის ოფიცრები კონსულტაციის მიზნით ამასწინათ იყვნენ ბერლინში.

უნგრეთის ჰოსპიტლები სავსეა დაჭრილი გერმანელებით

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ იუწყება, უნგრეთიდან შვეიცარიაში ახლახან ჩასული ექიმი იქიდან ტელეფონით გადმოგვცემს: გერმანელთა დანაკლისი აღმოსავლეთის ფრონტზე იმდენად დიდია, რომ უნგრეთი დაჭრილ გერმანელთა მასობრივ ჰოსპიტლად არის გადაქცეული. ბუდაპეშტის, აგრეთვე უნგრეთის სხვა ქალაქების სავადმყოფოები სავსეა. დაჭრილებს კერძო ბინებში ათავსებენ, მაგრამ ესეც საკმარისი არ არის. ყოველდღე უნგრეთში მოდის დაჭრილებით სავსე სანიტარული მატარებლები. ქირურგები შეუსვენებლივ მუშაობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაჭრილთა დიდი რაოდენობა მოკლებული რჩება სამედიცინო დახმარებას. საქმე [illegible]

შეკითხვები თემთა პალატაში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების შესახებ

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების გამო თემთა პალატაში შეტანილი შეკითხვების შესახებ რეიტერის სააგენტოს ანგარიშის დამატებით, საკდესის კორესპონდენტი შემდეგს გადმოგვცემს: კონსერვატორი მაკ იუენი შეეკითხა—შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ შეთანხმების შედეგად ინგლისის მთავრობა არ უზრუნველჰყოფს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არავითარ საზღვრებს? იდენმა უპასუხა: „დიახ, ნოტები, რომლებითაც ორივე მხარემ ერთმანეთს მიმართა და რომლებიც მე თემთა პალატაში წავიკითხე, არ ითვალისწინებენ ინგლისის მთავრობის მხრივ საზღვრების რაიმე გარანტიას“.

ლიბერალი პერსი ჰარისი შეეკითხა: შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ორივე მხარე თანაბრად კმაყოფილია შეთანხმებით? იდენმა დადებითად უპასუხა და დასძინა, რომ, წარსულის ისტორიის გათვალისწინებით, საჭიროა კვლავ მივულოცოთ იმათ, ვინც ამ შეთანხმების დადებით სიბრძნე და სახელმწიფოებრივი გონიერება გამოიჩინა.

ლიბერალი მარდერი შეეკითხა: საზღვრების გარანტიის საკითხთან დაკავშირებით, ძალაში რჩება თუ არა ინგლისის წინანდელი გარანტია პოლონეთის საზღვრებისა? იდენმა სთქვა: „როგორც მე უკვე ვუპასუხე, არ არსებობს საზღვრების არავითარი გარანტია“.

ლეიბორისტი ელის სმიტი შეეკითხა — გაითვალისწინა თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომ საჭიროა ყველაფრის გაკეთება, რაც კი შესაძლებელია, პოლონეთის იმ უდიდესი არმიის უმოკლეს ვადაში შესაიარაღებლად, რომელიც სსრ კავშირში იქმნება? იდენმა უპასუხა, რომ ეს არის საბჭოთა მთავრობის საქმე, მაგრამ მოლაპარაკების დროს გათვალისწინებული იყო ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც მოკავშირეთა საქმისათვის ექნებოდა პოლონეთის არმიის სწრაფად მოწყობას და შეიარაღებას რუსეთში.

ლიბერალმა ჰორ ბელიშამ სთქვა, რომ მას კვლავ სურს მიესალმოს იდენს იმ როლისათვის, რომელიც მან შეასრულა, როდესაც შუამავლობა გასწია ამ შეთანხმების დადებაში, რომელიც ახალი ევროპის წყობის კარგ წანამძღვარს ჰქმნის. ეს დაანახვებს ჩვენს პრინციპულ მტერს ჰიტლერს, თუ სანამდე მიიყვანა იგი სსრ კავშირზე თავდასხმამ.

ლეიბორისტი ნეს ედვარდსი შეეკითხა, წინასწარ იყო თუ არა ცნობილი იმ ნოტის შინაარსი, რომელიც სიკორსკის გადაეცა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და მიღწეული იყო თუ არა ეს შეთანხმება ყველა დაინტერესებული ქვეყნის საერთო თანხმობით? იდენმა უპასუხა, ყველაფერი წინასწარ იყო შეთანხმებულიო.

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 31 ივლისი (საკდესი). რუზველტმა კონგრესს მიჰმართა წერილით, რომელშიც სთხოვა რწმუნება მისცეს მთავრობას — დააწესოს საქონლის მაქსიმალური ფასები, ბინის მაქსიმალური ქირა და საჭიროების დროს შეისყიდოს საქონელი ფასების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად. რუზველტი გაფრთხილებას იძლევა, რომ არის საფრთხე ფასების საინფლაციო გადიდებისა, რაც თავდაცვის ღონისძიებებს ძირს უთხრისო.

დარბაზობა ლონდონის საგრაფო საბჭოში

ლონდონი, 31 ივლისი (საკდესი). 29 ივლისს ლონდონის საგრაფოს საბჭოს თავმჯდომარემ ამონმა მოაწყო დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ლონდონელი ელჩი მაისკი და სხვა სტუმრები. მიესალმა რა საბჭოთა სტუმრებს, საბჭოს თავმჯდომარემ ამონმა საუკეთესო სურვილები გამოსთქვა საბჭოთა კავშირისადმი, რომელმაც არაპროვოცირებული თავდასხმა განიცადა.

„ჩვენ, — სთქვა მან, — აღტაცებული ვართ შესანიშნავი ბრძოლითა და გადამწყვეტი წინააღმდეგობით, რასაც სსრ კავშირი აგრესორს უწევს. ეჭვი არ შემდის, რომ ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები გაათავისუფლებენ ყველა ქვეყანას ტირანიისაგან, რომელიც მსოფლიოს ემუქრება“.

საპასუხო სიტყვაში მაისკიმ, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ, მადლობა გადაუხადა გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის.

თურქეთის მთავრობამ უარი სთქვა საფრანგეთის გემების განთავისუფლებაზე

ანკარა, 1 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, თურქეთის მთავრობამ უარყო საფრანგეთის ხელმეორე მოთხოვნა იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქნას საფრანგეთის 11 გემი, რომლებიც სირიიდან 10 ივლისს ალექსანდრეტაში ჩავიდნენ.

ფრონტიდან დაბრუნებული გერმანელის ნაამბობი

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ იუწყება, ეს-ის არის სტამბოლს დაბრუნდა გერმანიის მკვიდრი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დათხოვნილ იქნა გერმანიის მოქმედი არმიიდან. საომარი მოქმედების მსვლელობის შესახებ მან განაცხადა: „პირველი რამ, რასაც ჩვენ აღმოსავლეთის ფრონტზე წავაწყდით,—ეს არის ძლიერი წინააღმდეგობა რუსეთის ჯარისა, რომელიც საუცხოო იარაღით არის აღჭურვილი. ნაცისტთა ჯარების მორალური მდგომარეობის ძლიერ შეირყა, როცა ისინი ასეთს იარაღს შეხვდნენ, ვინაიდან ამბობდნენ, რუსებს იარაღი აკლიათო. არცერთ ქალაქსა და სოფელში, რომელიც ჩვენ ხელთ ვიგდეთ, ვერცერთი ნამცეცი სურსათი და ვერცერთი წვეთი წყალი ვერ აღმოვაჩინეთ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რუსეთის ავიაცია მოსპობილიაო, ამიტომ მეტად გაკვირვებული დავრჩით, როცა რუსეთის მძიმე ყუმბარმშენებმა იწყეს მოქმედება ჩვენი ზურგისა და კომუნიკაციების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ ხანს ხშირად ზედიზედ სამი დღე ვრჩებოდით უსურსათოდ. ვფიქრობ, რომ თუ ამბები შემდეგშიც ასე განვითარდა, ჩვენ ნაპოლეონის არმიის ბედი მოგველის“.

სამამულო ომის ფრონტებზე

(კინოქრონიკა)

თბილისში უკვე ჩამოვიდა და კინო „სპარტაკში“ უჩვენებენ პირველ კინოქრონიკებს სამამულო ომის ფრონტებიდან. მაყურებელი დაძაბული ყურადღებით უცქერის ამ შესანიშნავ კადრებს. აი საბჭოთა მძიმე ტანკი გადადის პონტონის ხიდზე. კოშკიდან გამოშვერილი ზარბაზნის ლულა დინჯად ბრუნავს ხან მარჯვენივ, ხან მარცხნივ, თითქოს მტერს ეძებსო.

ტყის პირად საბჭოთა ტანკების რაზმი შენიღბულა. ხის ტოტების ქვეშ იმალება მძლავრი მანქანები. იქვე კადრი: ასევე ხის ტოტებით შენიღბული თვითმფრინავები. რა მშვიდობიანად გამოიყურებიან ეს მანქანები, რომლებიც შიშის ზარს სცემენ ფაშისტ სვავებს.

კინოქრონიკა დამაჯერებელი ილუსტრაციაა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებისა. გერმანელ მფრინავებს და ტანკისტებს ეშინიათ ჩვენი ტანკებისა და თვითმფრინავებისა, გაურბიან მათთან პირისპირ შებმას. ეს გასაგებია, როცა ხედავ კინოქრონიკის შემდეგ კადრს: მიწაზე ყრია ფაშისტთა დამსხვრეული თვითმფრინავები, მათ შორის ფაშისტ მფრინავთა გვამები. ცოტა შემდეგ სხვა კადრი: ტყვედ ჩავარდნილი სვავი მფრინავების ერთი ჯგუფი. სად არის ის მედიდური, ბატონური გამომეტყველება, რომელზეც ამდენს ჰყვებს მაიმუნი გებელსი. ტყვე მფრინავები და ჯარისკაცები საცოდავად გამოიყურებიან. ბევრი მათგანი ალბათ ოცნებობდა მოსკოვის ან კიევის აღებაზე, საქონლით სავსე მაღაზიების გაძარცვაზე, ახლა კი დაკარგეს ისიც რის გაძარცვა მოასწრეს დასავლეთ ბელორუსიასა და უკრაინაში.

კადრი კადრს მისდევს. აი ჩვენი სახელოვანი მებრძოლები! მფრინავი ტიმოფეევი აძლევს განცხადებას პარტიაში შესვლის შესახებ და მიფრინავს მტრის გასანადგურებლად. მეთაური გერასიმენკო დაჭრილია, მაგრამ საბრძოლო პოსტს არ სტოვებს. საბჭოთა კავშირის გმირი კრასნოიურჩენკო მაგრად კოცნის გმირ მფრინავს დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის. კაპიტანი მეეკოვი უკითხავს მფრინავებს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სამამულო ომის გმირთა დაჯილდოების შესახებ. რა უბრალოდ უჭირავთ თავი ამ გმირებს, რომლებიც გავარვარებულ ლითონს აყრიან თავზე გამხეცებულ მტერს.

კიდევ ერთი კადრი—ფრონტის ახლოს მყოფი მოსახლეობა თავდადებით ასრულებს ბელადის მითითებას. მიერეკებიან ნახირს ფრონტის რაიონიდან. თხრიან ტანკის საწინააღმდეგო ორმოებს, ეხმარებიან წითელარმიელებს გამარჯვების მოპოვებაში.

საბჭოთა კინოოპერატორებს დაუვიწყარი მომენტები აღუბეჭდიათ ფირზე.

გრ. ნუცუბიძე

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის) — „მტრის ზურგში“, **ოქტომბერი** — „ვაჟკაცობა“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ახალი ჰორიზონტი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) —„ესპანეთი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „ვოლგა-ვოლგა“, **ხარატაკი**—„პეპო“, **26 კომ. სახ.** (საზაფხულო)—„ახალი ჰორიზონტი“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„პედრო“, **კომინტერნი** — „წითელი ემბაკუნები“, **განთიადი** — „მთის ნაკადი“.

ლექცია

4 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის სამამულო ომი“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება კლუბის სალაროში, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო პუნქტში და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. რაიკომების რაიონულ საგიტაციო პუნქტებში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი